გურჯაანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება №30
2019 წლის 12 ნოემბერი

ქ. გურჯაანი

„გურჯაანის მუნიციპალიტეტის მერიის სამხედრო აღრიცხვისა და გაწვევის სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“ გურჯაანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 20 ნოემბრის №41 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 24-ე მუხლის პირველი ნაწილის „გ.ბ“ პუნქტის, „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის შესაბამისად, გურჯაანის მუნიციპალიტეტის საკრებულო **ადგენს:**

მუხლი 1

„გურჯაანის მუნიციპალიტეტის მერიის სამხედრო აღრიცხვისა და გაწვევის სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“ გურჯაანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 20 ნოემბრის №41 დადგენილებაში (www.matsne.gov.ge, 24/11/2017, 010260020.35.166.016338) შეტანილ იქნეს ცვლილებები და დამატებები და დადგენილებით დამტკიცებული დებულების:

1. მე-3 მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის მე-12 პუნქტი:

„12. საქართველოს კანონის „საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი“ 196^1, 196^3, 196^6, 197-ე, 197^1 და 198-ე მუხლებით გათვალისწინებული სამართალდარღვევების გამოვლენის შემთხვევაში, იმავე კოდექსით მუნიციპალიტეტისათვის მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში, სამართალდარღვევის ოქმის შედგენა ან/და ადმინისტრაციული სახდელის დადება.“.

2. მე-4 მუხლის მე-2 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„2. სამხედრო აღრიცხვიანობისა და სამხედრო სამსახურში გაწვევის საკითხებში წესების დარღვევის ფაქტებზე, სათანადო საფუძვლის არსებობის შემთხვევაში, კანონმდებლობით დადგენილი კომპეტენციის ფარგლებში, მასალები გადასცეს სამართალდამცავ ორგანოებს. აგრეთვე, საქართველოს კანონის „საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი“ 196^1, 196^3, 196^6, 197-ე, 197^1 და 198-ე მუხლებით გათვალისწინებული სამართალდარღვევების გამოვლენის შემთხვევაში, იმავე კოდექსით მუნიციპალიტეტისათვის მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში, შეადგინოს სამართალდარღვევის ოქმი ან/და განახორციელოს ადმინისტრაციული სახდელის დადება.“

მუხლი 2

დადგენილება ამოქმედდეს 2019 წლის 15 ნოემბრიდან.

გურჯაანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე **ვანო ბერიძიშვილი**